


## Contents

გარე ფაილიდან მონაცემების ჩატვირთვის მექანიზმი .....	1
ფაილის შაბლონის დამახსოვრება .....	2
მონაცემთა შევსების კონტროლი.....	3
როგორ ავაწყო მონაცემთა იმპორტის ფორმა .....	4
აწყოების დამახსოვრება.....	7

## გარე ფაილიდან მონაცემების ჩატვირთვის მექანიზმი


მონაცემების გარე ცხრილური დოკუმენტიდან (Excel, CSV, და ა.შ.) ჩატვირთვისთვის გამოიყენება დამუშავება „მონაცემების ჩატვირთვა ცხრილური დოკუმენტიდან“. ეს ფორმა გამოიყენება, როგორც დოკუმენტების, ასევე ცნობარების ჩატვირთვისთვის.

დააჭირეთ ღილაკს „შევსება ცხრილური დოკუმენტიდან“ , რომელიც განთავსებულია შესაბამისი ობიექტის (ცნობარის, დოკუმენტის) სიის ფორმაზე.

შესაიმპორტებელი ცხრილის სტრუქტურა ავტომატურად ფორმირდება შესაბამისი ობიექტის ძირითადი რეკვიზიტებით.

შესაიმპორტებელი ცხრილის შევსება შესაძლებელია შემდეგი მეთოდებით:

- ცხრილის შევსება ხელით
- copy-paste ფუნქციის გამოყენებით
- ფაილიდან შეტვირთვით



ლილაკით ცხრილის ჩატვირთვა ფაილიდან, გამოდის დოკუმენტის არჩევის ფანჯარა და შესაბამისი ფაილის არჩევის შემდეგ ცხრილი შეივსება ფაილში არსებული მონაცემებით.

„მონაცემთა ჩატვირთვა“ (სურათი) ლილაკზე დაჭერით ცხრილში შეტანილი ინფორმაცია შეიმპორტდება პროგრამაში.

**ფაილიდან ინფორმაციის წარმატებით ჩატვირთვისთვის ფაილში მონაცემების განლაგება უნდა ემთხვეოდეს ცხრილის სტრუქტურას.**

მონაცემების მოძიება ავტომატურად ხდება დასახელებით, თუმცა მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა შეცვალოს ეს პარამეტრი, ასევე თავისი სურვილის მიხედვით სრულად ააწყოს შესაძიმპორტებელი ინფორმაციის შემადგენლობა და სტრუქტურა ([როგორ ავაწყო მონაცემთა იმპორტის ფორმა](#)).

### ფაილის შაბლონის დამახსოვრება

იმისათვის, რომ ფაილი შეესაბამებოდეს აწყობას, „ბლანკის დამახსოვრება შევსებისთვის“ ლილაკზე დაჭერით შესაძლებელია შაბლონის დამახსოვრება ექსელის ფაილის სახით. მომხმარებელი ამ ექსელის ფაილს შეავსებს საჭირო მონაცემებით და შემდეგ შეტვირთავს ამ დამუშავებაში.

## მონაცემთა შევსების კონტროლი

მონაცემების შევსების შემდეგ ღილაკი „შევსების კონტროლი“ გამოიყენება მონაცემების სიზუსტის შესამოწმებლად. შეცდომის არსებობის შემთხვევაში, პროგრამა გამოიტანს შესაბამის შეტყობინებას.

თუ შევსების კონტროლის დროს ცხრილში აღმოჩენილი იქნება ცნობარის ისეთი ელემენტი, რომელიც ბაზაში არ იძებნება, პროგრამა გამოიტანს შეტყობინებას შესაბამისი ელემენტების შექმნის შეთავაზებისთვის. დადასტურების შემთხვევაში გამოვა მონაცემების ჩატვირთვის ახალი ფანჯარა, საიდანაც შესაძლებელი იქნება შეიტვირთოს საჭირო მონაცემები.

მონაცემების ჩატვირთვა ცხრილიდან \*

ლოკუშნის სახე: შეწყვიდა აწყობები

მონაცემების ჩატვირთვა

ცხრილის დოკუმენტი აწყობა

შევსების კონტროლი

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
2	თარიღი	მომწოდებელი	ვალუტა	მომწოდებლის ანგ	კონტრაქტი	ნომენკლატურა	ერთ.	რაოდენობა	ფასი	თანხა
3	27.08.2018	შს ჰელნიკი ლიზილი	GEL	3110.01		ბუფი	ცალი	4	0.5	2
4	27.08.2018	შს ჰელნიკი ლიზილი	GEL	3110.01		ფაბა (ჭილის)	ცალი	2	1.2	2.4

IC საწარმო

ვურ მოიტენა ცნობარების ელემენტები შექმნას?


დიახ არა

შეტყობინება:

- უჯრა[R306](ნომენკლატურა): ვერ მოიძებნა
- შევსების შემოწმება დასრულდა. შემოწმებული სტრიქონი: 2
- გამოვლენილია უჯრა, რომელიც შეიცავს შეცდომებს/არაერთმნიშვნელოვან წარმოდგენებს: 1

# როგორ ავაწყო მონაცემთა იმპორტის ფორმა

მონაცემების ცხრილური დოკუმენტიდან ჩატვირთვის ფორმის ასაწყობად საჭიროა „აწყობა“ ჩანართზე გადასვლა.



ცხრილი ივსება იმ ობიექტის ველების სიით, რომლის შეიმპორტებაც ხდება.

<b>ნიშნული</b>	ჩაირთვება მხოლოდ იმ ველების შესაბამის სტრიქონებში, რომლის შევსებაც გვინდა ჩატვირთვის მექანიზმით.
<b>რეკვიზიტის წარმოდგენა</b>	ველის დასახელება
<b>ძიების ველი</b>	აღმის ჩართვა საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ველის მიხედვით უნდა მოხდეს ცნობარის ან დოკუმენტების სიაში შესაბამისი ელემენტის ძებნა და მისი მონაცემების განახლება ჩატვირთული ინფორმაციით. აღნიშნული ველი გამოიყენება ასევე იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა დოკუმენტების შეიმპორტება და რამდენიმე სტრიქონის გაერთიანება გვინდა ერთ დოკუმენტად (მაგალითად მყიდველების მიხედვით რეალიზაციის დოკუმენტები იმპორტისათვის ძიების ველის ალაში უნდა ჩაირთოს მყიდველის ველზე).
<b>ტიპების აღწერა</b>	ველის ტიპის აღწერა
<b>ჩატვირთვის რეჟიმი</b>	ამ ველში მიეთითება მნიშვნელობა „ძებნა“ ან „დაყენება“. თუ მიითითებულია „ძებნა“, შესატვირთ ობიექტში აღნიშნული ველი შეივსება ცხრილური დოკუმენტიდან შეტანილი მონაცემების მიხედვით, ხოლო „დაყენება“ მნიშვნელობის არჩევის შემთხვევაში ველი შეივსება „მნიშვნელობა მინიშნების გარეშე“ სვეტში მიითითებული მნიშვნელობით ყველა სტრიქონისათვის.

<b>მნიშვნელობა მინიშნების გარეშე</b>	„მნიშვნელობა მინიშნების გარეშე“, მიეთითება მნიშვნელობა, რომლითაც შეივსება შესაბამისი ველი, თუ ის ცხრილში ცარიელია, ან ჩატვირთვის რეჟიმში მითითებულია „დაყენება“.
<b>კავშირის პირობა</b>	გამოიყენება თუ ველში ხდება ცნობარის ტიპის მონაცემის შეყვანა და ცნობარის ელემენტის მოძებნა უნდა მოხდეს დასახელებისგან განსხვავებული რეკვიზიტით (მინიშნების გარეშე ძებნა ხდება დასახელებით). მაგალითად, როდესაც ხდება ცხრილური დოკუმენტიდან შესყიდვის დოკუმენტის შევსება და ნომენკლატურის ძიება უნდა მოხდეს კოდით, ნომენკლატურის ველის გასწვრივ კავშირის პირობაში უნდა მიეთითოს ძებნა კოდით.

იმ შემთხვევაში თუ საჭიროა არსებული ელემენტების განახლება, აუცილებლად უნდა ჩაირთოს ალამი „არ შეიქმნას ახალი ელემენტები“, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაყვანი ინფორმაცია დადუბლირდება.

მონაცემების ჩატვირთვა ცხრილური დოკუმენტიდან \*

კოდები

ცნობარის სახეობა: ნომენკლატურა

მონაცემების ჩატვირთვა

შეფუთვები

ცხრილური დოკუმენტი აწყობა

ცხრილური დოკუმენტის მონაცემების პირველი სტრიქონი: 3 არ შეიქმნას ახალი ელემენტები:


შეივსოს რედაქტირების დასრულება

სვეტების ნუმერაცია

მოვლენები

ნიმუში	რეკვიზიტის წარმოდგენა	ძიების ველი	ტიპების აღწერა	ჩატვირთვის რეჟიმი	მნიშვნელობა მინიშნების გარეშე	კავშირის პირობა / გამოსახულება მნიშვნელობისათვის
<input type="checkbox"/>	კოდი	<input type="checkbox"/>	სტრიქონი	თბნა		
<input checked="" type="checkbox"/>	დასახელება	<input type="checkbox"/>	სტრიქონი	თბნა		
<input type="checkbox"/>	მნიშვნელობა	<input type="checkbox"/>	ნომენკლატურა	თბნა		თბნა Наименование
<input checked="" type="checkbox"/>	არტყული	<input checked="" type="checkbox"/>	სტრიქონი	თბნა		
<input checked="" type="checkbox"/>	ზომ. ერთეული	<input type="checkbox"/>	ზომის ერთეულის აღწერა...	თბნა	ცალი	თბნა Наименование
<input checked="" type="checkbox"/>	ნომენკლატურის ტიპი	<input type="checkbox"/>	ნომენკლატურის ტიპები	თბნა	საქონელი	
<input type="checkbox"/>	წონა	<input type="checkbox"/>	რიცხვი	თბნა		
<input checked="" type="checkbox"/>	დღის განაკვეთი	<input type="checkbox"/>	დღის განაკვეთი	თბნა	ჩვეულებრივი	თბნა Наименование
<input type="checkbox"/>	მარაგების აღრიცხვის ანგარ...	<input type="checkbox"/>	ანგარიშთა გეგმა	თბნა		თბნა Код
<input type="checkbox"/>	ზარელების აღრიცხვის ანგარ...	<input type="checkbox"/>	ანგარიშთა გეგმა	თბნა		თბნა Код
<input type="checkbox"/>	უმოსავლების აღრიცხვის ანგარ...	<input type="checkbox"/>	ანგარიშთა გეგმა	თბნა		თბნა Код
<input type="checkbox"/>	ზარელების აღრიცხვის ანგარ...	<input type="checkbox"/>	ანგარიშთა გეგმა	თბნა		თბნა Код
<input type="checkbox"/>	დარიცხული დღის ანგარ...	<input type="checkbox"/>	ანგარიშთა გეგმა	თბნა		თბნა Код
<input type="checkbox"/>	იმპორტის განაკვეთი	<input type="checkbox"/>	იმპორტის განაკვეთი	თბნა		თბნა Наименование

იმ შემთხვევაში, თუ ობიექტს, რომლის შეიმპორტებაც ხდება გააჩნია ერთი ან რამდენიმე ცხრილური ნაწილი, ან მის შესახებ დამატებითი ინფორმაცია ინახება პროგრამის სხვა ობიექტებში (ინფორმაციის რეგისტრები), საჭიროა დამატებითი ცხრილების სიიდან მოვნიშნოთ საჭირო ცხრილი.




აწყოების ჩანართზე, ველების სიაში დამატება იმ ცხრილების მონაცემები, რომელიც მონიშნულია სიაში.

**გამოყენების მაგალითი 1:**

ნომენკლატურის შეყვანისას თუ საჭიროა რამდენიმე ზომის ერთეულის შეიმპორტება. ამ შემთხვევაში დამატებითი ცხრილების სიაში იქნება „შეფუთვები“. აწყობას დამატება ზომის ერთეულის დასახელებისა და კოეფიციენტის ველები. თუ დამატებითი შეფუთვა შესაძლოა იყოს ერთზე მეტი, ნომენკლატურის სტრიქონის დაკოპირება უნდა მოხდეს იმდენ სტრიქონად რამდენი დამატებითი ზომის ერთეულიც აქვს კონკრეტულ ნომენკლატურას, ხოლო აწყობაში ალამი „ძიების ველი“ უნდა იყოს ჩართული, ისეთი ველისათვის, რომელიც უნიკალურია ნომენკლატურის სიისთვის (მაგალითად კოდი ან არტიკული).


**გამოყენების მაგალითი 2:**

უნდა შეიმპორტდეს შესყიდვის დოკუმენტები, რომელშიც შეივსება ნომენკლატურის ცხრილური ნაწილი. სტრიქონების გაერთიანება უნდა მოხდეს ზედნადების ნომრის მიხედვით. თითოეული შესყიდვის დოკუმენტის დოკუმენტი ცხრილურ დოკუმენტში უნდა იყოს იმდენ სტრიქონად რამდენი სტრიქონიც უნდა იყოს ნომენკლატურის ცხრილურ ნაწილში. ხოლო აწყობაში ალამი „ძიების ველი“ უნდა იყოს ჩართული ველისათვის სასაქონლო ზედნადების ნომერი.

აწყოების დასრულების შემდეგ საჭიროა „ცხრილური დოკუმენტი“ ჩანართზე გადასვლა და განახლების ღილაკზე  დაჭერა.



შენიშვნა: ველი ნომერი რეკომენდირებულია, რომ დარჩეს ცარიელი ან გამოირთოს აწყოებში. ჩატვირთვის შემდეგ მას ავტომატურად დააგენერირებს პროგრამა წინასწარ დადგენილი თანმიმდევრობით.

თარიღის ველში უნდა იყოს მითითებული თარიღის ის ფორმატი, რომელიც მითითებულია ინფორმაციული ბაზის რეგიონალურ აწყოებში.



## აწყოების დამახსოვრება

დოკუმენტების ცხრილური ფაილიდან ჩატვირთვის დროს შესაძლებელია მომხმარებლის მიერ შეცვლილი აწყოების დამახსოვრება და შემდეგ ჯერზე ჩატვირთვის დროს პირდაპირ კონკრეტული აწყოების არჩევა ფაილის ჩატვირთვისთვის. შენახვის დროს შაბლონს ველში „აწყოები“ უნდა დაერქვას შესაბამისი სახელი, რომელიც შემდეგ გამოჩნდება სიაში და ღილაკზე დაჭერით შეინახება შაბლონი.



*//გამონაკლისი: რეალიზაციის დოკუმენტების ექსელიდან ჩატვირთვის დროს გაკრვეული რეკვიზიტების ავტომატური შევსების შესაძლებლობა. თუ ეს რეკვიზიტები მონაცემების ჩატვირთვის დროს ცარიელია, ისინი შეივსება ნომენკლატურიდან ან მყიდველიდან/ხელშეკრულებიდან.*

*ჩატვირთვის შემდეგ მყიდველის ბარათიდან ან ხელშეკრულებიდან ავტომატურად შეივსება რეკვიზიტები: "ვალუტა", "მყიდველის ანგარიში", "ავანსის ანგარიში", "დღგ-ის მუხლი", "დღგ-ით დაბეგვრა".*

*ხოლო დოკუმენტის ცხრილში, ნომენკლატურის ბარათიდან უნდა შეივსოს რეკვიზიტები: "აღრიცხვის ანგარიში", "დღგ-ის ანგარიში", "შემოსავლების ანგარიში", "ხარჯების ანგარიში", "დღგ-ის განაკვეთი".//*